პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2026 წლის ____ აგვისტო
ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. დამტკიცდეს **„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ"** წესი თანახმად №1 დანართისა.

მუხლი 2. დამტკიცდეს ბიზნეს გეგმის განაცხადის ფორმა თანახმად №2 დანართისა.

მუხლი 3. დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის N11 დადგენილება (www.matsne.gov.ge 01/08/2024, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016521).

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

დადგენილების პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ

(განმარტებითი ბარათი შედგენილია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად).

პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - ხათუნა სურგულაძე

პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:
ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ტურიზმისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების მიერ მომზადებული პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება, ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი რეალიზება და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის გაზრდა.

ა)პროგრამის კონკრეტული მიზნებია სოფლის მეურნეობის სექტორში მხარდაჭერა: აგრარულ სექტორში დასაქმებული და თვითდასაქმებული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება;

ბ)ადგილობრივი წარმოების ზრდა: იმ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე თუ სამომავლო საქმიანობა პირდაპირ არის მიმართული ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების წარმოების/გაფართოებისკენ;

გ)ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვა: თანამედროვე, ტექნოლოგიური და ინოვაციური მიდგომების მხარდაჭერა მცირე და საშუალო ბიზნესში;

დ)დასაქმების ხელშეწყობა: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და მიგრაციული პროცესების შემცირება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. დღეისათვის მოქმედი წესი (დამტკიცებული საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის N11 დადგენილებით) საჭიროებს განახლებასა და დახვეწას, რათა პროგრამა გახდეს უფრო მოქნილი, ეფექტიანი და მორგებული ადგილობრივი ბიზნესის თანამედროვე გამოწვევებზე.

ახალი დადგენილების მიღებით:

ახლებურად განისაზღვრება პროექტების შერჩევისა და დაფინანსების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების უფრო მიზნობრივ და შედეგზე ორიენტირებულ ხარჯვას.

ახლდება ბიზნესგეგმის განაცხადის ფორმა (დანართი №2), რაც გააადვილებს განაცხადების წარდგენის პროცესს აპლიკანტებისთვის და გაზრდის გამჭვირვალობას.

ჩანაცვლდება ძველი ნორმატიული აქტი, რაც აღმოფხვრის საკანონმდებლო და პროცედურულ უზუსტობებს.

3. მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

დადგენილების პროექტის მიღება და პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს:

მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტების ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას;

სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;

ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ინოვაციური ბიზნეს-იდეების რეალიზაციას;

ადგილობრივ დონეზე დასაქმების მაჩვენებლის ზრდასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

პროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ მოახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე

ე) **პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2026 წლის __ ____**